ჯიშის აღწერილობა

ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიში

კულტურა: ხორბალი

ჯიშის ადგილობრივი სახელწოდება: დიკა

ტაქსონის ბოტანიკური სახელწოდება: *Triticum carthlicum* Nevskyi (სახეობა)

გავრცელების არეალი:
საქართველოში გავრცელებული იყო ძირითადად მთიან ზოლში, 1000-1200მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. თუმცა, ასევე მოყავდათ 2000მ.-ის ზევით, 2200-2300მ.-მ. სიმაღლემდე. ასევე 1000 მ.-ზე ქვემოთ ზღვის დონიდან შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული. 650-700 მეტრის ქვევით მისი ნათესები აღარ გვხვდებოდა.

გამოყენების სახე:
ადგილობრივი მოსახლეობა დიკასგან აცხობდა პურს და იყენებდა ტრადიციული კერძების მოსამზადებლად.

არის თუ არა განსაკუთრებული პირობები ჯიშის მოსაყვანად, თუ არის მიუთითეთ რა პირობებია:
ჯიში დიკა მოვლა მოყვანასდმი განსაკუთრებულ პირობებს არ მოითხოვს.

მახასიათებლები ხორბლის ადგილობრივი ჯიშ დიკასთვის -*Triticum carthlicum* Nevskyi)

კოლეოპტილე	უფერო (სურ. 2)
პირველი ფოთოლი : ფერი შებუსულობა	 ნათელი მწვანე (სურ. 2) ხავერდოვან შებუსული
მცენარე: ბუჩქის ტიპი	 სწორმდგომი (სურ. 3)
მცენარის სიმაღლე	130-135 სმ.
ფოთოლი:	

ენაკი	ნათელი მწვანე (სურ. 4)
კავები	მცირე ზომის, უფერო ან იშვიათად იისფერი, დაფარულია მოკლე წამწამებით (სურ. 4)
ღარი	ნათელი მწვანე, ხავერდოვან შებუსული (სურ. 4)
ფირფიტა	ნათელი მწვანე, ხავერდოვან შებუსული (სურ. 4)
ღერო:	
ღეროს ამოვსებულობა	ღრუ, თავთავის ფუძესთან ამოვსებული ან აქვს მცირე ღრუ (სურ. 6)
მუხლები	შებუსული (სურ.5) ან შიშველი
თავთავი:	
სიგრძე	4-8სმ. სიგრძის ზოგჯერ 14-16სმ.
სიმკვრივე = (თავთუნების რაოდენობა -1)×10/ თავთავის სიგრძე)	11-35.
ფორმა პროფილში	ცილინდრული, იშვიათად თითისტარისებრი (სურ. 7, 8, 9)
ფხები	სხვადასხვა სიგრძის 6-17 სმ. სიგრძის. ნაზი აგებულებისაა, დაკბილული, უხეშფხიანი ფორმები ნაკლებად გვხვდება. ფხას ინვითარებს თავთუნის კილიც. იშვიათად ფხისმაგვარი წანაზარდებით. (სურ. 4, 10, 11)
თავთუნი	მრავალყვავილიანია, რომბისებური, ივითარებს 2-3 მარცვალს (სურ.4)
ქედი	ვიწრო, მიდის თავთუნის ფუძემდე. გადადის ფხაში ან ფხისმაგვარ წანაზარდში (სურ. 10, 11)
მხარი	თითქმის არ აქვს განვითარებული. ის

	წარმოდგენილია თავთუნის გვერდითი ძარღვის გამონაშვერით რაც ფუძესთან წარმოქმნის არა ღრმა ამონაჭერს. (სურ. 10, 11)
ფერი	თეთრი, წითელი (ზოგჯერ უფრო ინტენსიური), შავი წითელ ან თეთრ ფონზე. (სურ. 7, 8, 9)
ღერაკი	თხელი, ვიწრო ელასტიური. (სურ. 12, 13)
ღერაკის ნაწევრები	კიდეებზე სქლად შებუსული ან შიშველი. ულვაში თავთუნის ფუძესთან ან არ აქვს ან სხვადასხვა ხარისხით აქვს განვითარებულივ(სურ. 12) **შენიშვნა:** თავთუნის ფუძესთან არ ახასიათებს ხაოიანობა და გარდიგარდმო ჩაზნექილობა რაც რბილი ხორბლებისთვის არის დამახასიათებელი
მარცვალი:	(სურ. 14)
ფორმა	ჩვეულებრივ ოვალური, განივჭრილი მომრგვალებული. მარცვალს ახასიათებს ზურგის მხარეს ნაოჭიანობა რომელსაც ვერცხლისფერი შეფერვა გადაჰკრავს
ღარი	შედარებით ნაკლები სიღრმის
ფერი	წითელი, იშვიათად თეთრი
სიგრძე	5,5-6 მმ. სიგრძის
კონსისტენცია	რქისებრი, იშვიათად ნახევრად ფქვილისებრი. **შენიშვნა:** მარცვლის წვერზე ბუსუსები არ არის გამოსახული. ამ ნიშნით ის განსხვავდება რბილი ხორბლისაგან სადაც ბუსუსიანობა ყოველთვის აშკარად შესამჩნევია
სეზონურობა	საგაზაფხულო

დიკას ძირითადი სახესხვაობები მათი განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით და ნათესებში გავრცელების ინტენსივობა

სახესხვაობები	ნათესში გავრცელების ინტენსივობა
1. თავთავი შეუბუსავი, თეთრი - თეთრი დიკა	ყველა პოპულაციაში გავრცელებული იყო მეტნაკლები მინარევით
2. თავთავი შეუბუსავი, წითელი - წითელი დიკა	ძირითადი სახესხვაობა დიკას ნათესებში
3. თავთავი შებუსული, შავი -შავი დიკა	დიკას ნათესებში მეტნაკლები მინარევით. სუფთა ნათესებად დუშეთის, თიანეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, იმერეთში (წიფა), სვანეთში
4. შეუბუსავი, შავი ყვითელ ფონზე, მარცვალი თეთრი	ერთეული მინარევი დიკას ნათესებში
5. თავთავი შეუბუსავი, შავი წითელ ფონზე, მარცვალი წითელი	მინარევი დიკას ნათესებში
6. თავთავი ფხიანი, შეუბუსავი, წითელი, ფხები შავი	მინარევი დიკას ნათესებში ცხინვალის რეგიონში
7. თავთავი შეუბუსავი, წითელი, კილები შავი არშიით, მარცვალი წითელი	მინარევი დიკას ნათესებში ცხინვალის რეგიონში
8. თავთავი თეთრი, შეუბუსავი, შავი ფხებით, მარცვალი წითელი	იშვიათი მინარევი დიკას ნათესებში
9. თავთავი შებუსული, მურა თეთრ ფონზე - კილები შავი არშიით. მარცვალი წითელი	იშვიათი მინარევი დუშეთსა და მიმდებარე ტერიტორიებზე

სურ. 1 ადგილობრივი ჯიში დიკას ნათესი

სურ. 2

სურ. 3

სურ.4

სურ. 5



სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9

სურ. 10

სურ. 11

სურ. 12

სურ. 13

სურ. 14

ლიტერატურა:

1. პ. ნასყიდაშვილი, მ. სიხარულიძე, ე. ჩერნიში. ხორბლის სელექცია საქართველოში. თბილისი 1983
2. ნელი ბრეგაძე. საქართველო-მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა. თბილისი 2004
3. ასოციაცია ელკანა. საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების ელექტრონული კატალოგი http://catalog.elkana.org.ge/index.php
4. В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, Тбилиси, 1948.
5. В. Ф. Дорофеев, Е.Ф.Мигушова, Культурная флора СССР, Пшеница, т.1.